აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი: "აშშ-ის სირიაზე თავდასხმის გეგმას 9 ქვეყანა უჭერს მხარს" პარასკევი, 06 სექტემბერი 2013 10:37

"მიუხედავად იმისა, რომ ცხრა ქვეყანამ სირიის ოპერაციაში მონაწილეობისგან თავი აარიდა, აშშ-ის ამ ქვეყანაზე თავდასხმის გეგმას მხარს უჭერენ".

ეს ჟურნალისტებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯენ ფსაკიმ განაცხადა.

"ავსტრალიამ, ალბანეთმა, კოსოვომ, კანადამ, დანიამ, საფრანგეთმა, პოლონეთმა, რუმინეთმა და თურქეთმა აშშ-ის სამხედრო გეგმას ღიად დაუჭირეს მხარი", განაცხადა ფსაკიმ.

მისი თქმით, 80-ზე მეტი ქვეყანა სირიის ხელისუფლების მიერ ქიმიური იარაღების გამოყენების შესახებ აშშ-ის მტკიცებულებები მიიღეს და 50-ზე მეტმა ქვეყანამ ანალოგიური პოზიცია ღიად დაიჭირეს. ჯენ ფსაკიმ აგრეთვე აღნიშნა, რომ აშშ-მა აგრეთვე 30-ზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერას მიაღწია.

1 / 1